



„დროების“ რედაქცია—სასახლის ქუჩაზე, დ. სა-
რაფოვის სახლში.

ხელის-მოწერა მიიღება თბილისში, რედაქციაშივე;
ქუთაისში, ქილაძეების წიგნის მაღაზიაში. გარე შე-
ყვანილობისათვის აღრესი: ВЪ ТИФЛИСЬ, ВЪ Редак-
цію „Дროება“.

ფასი: წლით 9 მ., 11 თვით 8 მ. 50 კ.; 10 თვით—
8 მ.; 9 თვით—7 მ. 50 კ.; 8 თვით—7 მ.; 7 თვით—
6 მ. 6 თვით—5 მ.; 5 თვით—4 მ. 50 კ.; 4 თვით—4
მ.; 3 თვ.—3 მ.; 2 თვ.—2 მ.; 1 თ.—1 მ.

დროება

ბაგოდის ყოველ დღე, იანვრის ბარდა.

ფასი განცხადებისა: სვრიჟონზე რედაქციაში სრული
უკანასკნელი გვერდი 2 მანათი; განცხადება მოკლე
ქართულს, რუსულს და სხვა ენებზე—1 მანათი;
თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია განსწორებს
და შეამოკლებს დასახელებს გამოგზავნილ წერილებს
დაუბეჭდავად წერილებს რედაქცია ვერ დაუბრუნებს
ავტორს.

„Объявления изъ Россіи, Царства Польскаго и за
границы принимаются только въ пять, конторѣ
объявл. Л. Метцль., Москва, Петровка, № 6

ცალკე ნომერი „დროებისა“ ღირს 5 კაპეიკა.

მიიღება ხელის-მოწერა კახეთის „დროებაზედ“ 1885 წლისათვის

თბილისში — „დროების“ რედაქციაში; ქუთაისში — მ. ჭილაძეების
წიგნის მაღაზიაში; ბათუმში — მოსე ნათაძესთან; თელავში — ვანო როს-
ტომაშვილთან; გორში — აბალო თუთაშვილთან.
საფლანკის მასწავლებელთათვის წლით შვიდი მანათი, ნახევარ წლით
ოთხი მანათი. დაწვრილებით პირობები გაზეთის სათაურშია.

იქვე და იმავე პირობებთან, რომელნიც ზემოდ არიან გამოცხადე-
ბულნი, მიიღება აგრეთვე ხელის-მოწერა ყურნალს

„ივერიაზედ“

მინც ცალკე დაიბარებს მთელის 1885 წლით ყურნალს „ივერიას“, უნდა
გამოგზავნოს წლის ხედრი ფული შვიდი მანათი (საფლანკის მასწავლებელთა-
თვის ხუთი მანათი) „დროების“ რედაქციაში ამ აღრესით: ВЪ ТИФЛИСЬ,
ВЪ Редакцію „Дროება“.

მისაც უფრო ემარჯვებოდეს შეუძლიან „დროება“ და „ივერია“ ერთის
წერილით დაიბაროს და ამისთვის ხედრი ფული 16 მანათი გამოგზავნოს
„დროების“ რედაქციაში აღრესით.

წლის დასასრულს ჭინანსა მი-
ნისტრი წარუდგენს ხოლმე სულშივე
იმპერატორს შემოსავალ-გასავლის ან-
გარიშს მომავლის წლისას. ტელეგ-
რამამ გადმოგვცა რომ ამ ანგარიშის
წარდგენის დროს ჭინანსთა მინისტრს

„დროების“ ქელტონი, იანვრის 8-ს. ძველი მართული ოჯახი (დასასრული პირველის წერილისა.)*

მაგრამ ძველადღესი ხასიათი ძვე-
ლის ოჯახისა საკმაო არ არის, რომ
მკითხველმა შეადგინოს სრული აზრი
ოჯახის შინაარსზე. ამისათვის ჩვენ
უნდა ვუჩვენოთ მკითხველს ეს ში-
ნაარსი, განვმარტოთ ყოველ გვარი
ურთიერთობა, რომელიც არსებობდა
ოჯახის წევრთა შორის. სწორედ ეს
ურთიერთობა შეადგენდა ოჯახის ბუ-
ნებას, მის სულს, შინაგანს ძალას.
ძველადღესი აგებულება იყო, თუ
შეიძლება აგრეთვე, გარეგანი ფორ-
მა, სახელმწიფოებრივი და საზოგა-
დოებრივი მხარე ოჯახისა, მაგრამ
ოჯახს თავისი საკუთარი სამფლობე-
ლო ჰქონდა შემოუარავლელი და, აი,
სწორედ ამ საკუთარს სამფლობელო-
ში გამოიხატა მისი შინაგანი არსება,
სულიერი ბუნება. როგორც უკვე
შევიხსენეთ, მახუშტი გვიხატავს—ისიც
მოკლედ ჩარიდად სიტყვით—პატრიარ-
ქულ ოჯახს და სრულებით არაფერს
ამბობს მის პირიდან წარმოშობა.
იგი ვერცხვს მოკლედ იხსენებს—
თუ რა ბარბაროსობა სუფევდა



თავის მოხსენებისათვის დაურთავს აგ-
რეთვე რამდენიმე სიტყვა სახელმწიფო
საადგილ-მამულო ბანკის დაახსების
შესახებ და უთქვამს, რომ ამ ბანკის
პროექტი თებერვალში სახელმწიფო რჩე-
ვას წარუდგება. რადგან ამ მომა-
ვალ ბანკისადმი მიპყრობილი აქეთ

ამ ოჯახში ამ სიტყვებით: „შესწი-
ვიდენ კერძთა ძეთა და ასულთა
თვისთა და იყო ესე ბოროტება
მრავალსა წელსა“³²). ამ სიტყვები-
დამ ცხადად სჩანს, რომ ჩვენი ძველი
ოჯახის მამას სრული განუსაზღვრელი
უფლება ჰქონდა შვილების შესახებ,
რომელთა მოკლაც კი შეეძლო
დაუსჯელად, სწორედ ისე, როგორც
ძველი რომაელის ბარბაროსული ოჯახის
მამას (ius vitae ac necis). როგორ
და რა მიზეზების გამო ძველ საქარ-
თულში შესუსტდა ეს განუსაზღვრელი
უფლება ოჯახის მამისა (მახუშტი უჩე-
ნებს მხოლოდ, რომ შვილების შე-
წირვა მოსაო მეფე რევმა), ამაზედ
ჯერ-ჯერობით გადაჭრით არა ითქმის-
რა. მს კია, რომ უძველეს კა-
ნონებს ჰქვამს დაბნელება აღბუღას
სამართალს, თუმცა მათში საოჯახო
უფლების ნორმები მეტად ცოტაა,
ცხადად ეტყობა კვალნი ამ განუსაზღ-
ვრელის უფლებისა; მათში ოჯახის მამა
თითქმის სრული პატრონია, სრული
ბატონი. ცოლი არ წარმოადგენს თა-
ვისუფალს, ზნეობრივს არსებას; მას
მეტად მცირე და მკრთალი უფლება
აქვს. მაგ., ჰქვამს დაბნელებით
უფრო ბევრს ლაპარაკებს ცოლის

აღიანთ იმედის თელი თითქმის ყვე-
ლა ადგილ-მამულის პატრონთ. ამი-
ტომ საჭიროდ ეხადით მოკლედ აუ-
წიროთ მკითხველს ისტორია ამ ბან-
კის ჩასახვისა და ისიც, თუ რა სიკე-
თეს უნდა მოველოდეთ მისგან.

საადგილ-მამულო კრედიტი ყველა
ფრობის სახელმწიფოებშია გავრცე-
ლებული. ამ კრედიტისათვის დაწე-
სებული ბანკები აძლევენ სესხს სოფ-
ლის და ქალაქის მამულების პატრონთ
გირავენობის ფურცლებით იმ პირო-
ბით, რომ მოვალემ აძლიოს ბანკს
წელიწადში გარდაწყვეტილი გარდასა-
ხადი, რომელიც მოკლედ იქნება, რო-
გორც სარგებელი და თავისი რამო-
დენიმე ნაწილი, ისე გადაჭრითი
პროცენტი ბანკის გამგებლობისათვის.
ამ კრედიტს ის დანიშნულება აქვს,
რომ ერთბაშად ხელი მოუშალოს
მამულის პატრონს, თავის მიწა-წყალი
გაუფლობესობას და მასთან შეღა-
ვითით გამოერთვას ყოველ-წლივ რა-
გორც სარგებელი ნაფასების ფული-
სა; ისე თავნი.

ამ გვარნი დაწესებულებანი მრავ-
ალნი არიან როგორც სამშენებლო გა-
რეთ, ისე რუსეთში და ჩვენშიც მათ
რიცხვს სამი ბანკი ეკუთვნის: თბი-
ლისისა და ქუთაისის საადგილ-მამუ-
ლო ბანკები და „თბილისის საკრე-

წავგრაზე, მოტაცებაზე“ (მუხ. 22—24);
ამ დანიშნულებას უტყვის ეკონომი-
ურის მხრივ (სისხლის დაურება); ეს
გარემოება ამტკიცებს, რომ ქალის
პიროვნული თავისუფლება არ იყო
სრულიად აღიარებული, მისი ზნეობ-
რივი ღირსება მეტად დაბალ წერტილ-
ზე იდგა. მაგრამ ჰქვამს დაბნელებით
„შორებულთა რომაელების ძველი ma-
nus mariti-ს ხასიათს. რომაელების
manus ოჯახის მამას (pater familias)
ცოლის სრულს პატრონად ჰრაცხდა,
თვით ოჯახი (familia) ნიშნავდა ოჯა-
ხის მამის ქონებას, საკუთრებას და არა
წევრთა კავშირს.“³³) შვილიც რომე-
ლების ძველი უფლების შეხედულობით,
მამის სრული საკუთრება იყო, მოკლე-
ბული ყოველ-გვარ თავისუფლებას, ზნე-
ობრივს ღირსებას. არც ერთი და არც
მეორე უკიდურესობა ჰქვამს დაბნე-
ლებით: „განა თუ ცლად დაგდას უბ-
რად და მისი შეუცვლად იყოს და
გაქვარეს ესეთს ნასკვარს სისხლად და-
უფრავს“ (მუხ. 24). მაშასადამე,
ოჯახში ცოლი როდი იყო ქმრის
სრული საკუთრება, მისი ქონება.
მაგრამ ამას არა სჯერდება ჰქვამს
დაბნელებით მთარელობას უწევს
ცოლის, — „...თუ ამ მოკლედის კა-

ლიტო საზოგადოება“. ძვირად იბო-
ნით მთელს რუსეთში იმისთანა მა-
მულს, რომ ბანკში დაგირავებული
არ იყოს. ბანკებიდამ აღებული ფუ-
ლი მოვალეთ ან ყოველად უსარგებ-
ლოდ მიფლანგეს, ან კერძო ვალები
გაისტუმრეს, ასე რომ ხელშიაც აღა-
რა შერჩათა, მამულსაც გაუფლობე-
სობა ევრა დაახინეს-რა და ყოველ
ექვს თვეს კი, საათის მეხანობის სის-
წორესათვის, ბანკები თავისას თხოუ-
ლობენ. ამ გვარმა მდგომარეობამ გა-
მოიწვია საერთო გოდება მემამულე-
თა, რომელიც შესმენილ იქნა სულ-
მწიფე იმპერატორისაგან და ებნა
ჭინანსთა მინისტრს, რათა დაწესდეს
სახელმწიფო საადგილ-მამულო ბანკი
და ამ ბანკის საშუალებით გაუადვილ-
დეთ მემამულეთ ნაკლები პროცენ-
ტით სესხის აღება. ჭინანსთა მი-
ნისტრსაც, ბრძანებისამებრ, შეუდგე-
ნია მოხსენება და ამ მოხსენებაში
ამბობს სხვათა შორის შემდეგს: „მო-
სალოდნელს გათვებას სესხისა აქვს
თავისი სამსლენი: სახელმწიფო სა-
ადგილ-მამულო ბანკს არა აქვს შეძ-
ლება გასცეს სესხი უფრო მცირედის
სარგებლით, ვიდრე აძლევს მმართვე-
ლობა სახელმწიფო სესხისათვის“...

რა სარგებლობა შეუძლიან მოუტა-
ნოს სახელმწიფო საადგილ-მამულო
ცის ცოლი დარჩეს და არ გათხოვდ-
ბოდეს, მის მოკლედის კაცის სისხ-
ლისაგან სასაყრო მიეცეს ძალისა
მსგავსად და თუ დარბაზის ცნობის
ღირსი იყენენ დარბაზს იკითხონ და
დარბაზით გაჩინონ და თუ არ ღირს
იყენენ მართლმადან და გამგებელმან
გაუჩინოს და სისხლისაგანაც მიეცეს
და ზისაგანაც კრთია (მუხ. 23); ასე
რომ, როგორც ქმარს ეძღვოდა ცო-
ლის სისხლი, ისე ცოლს ქმრისა და
გარდა ამისა ზისაგანაც კრთია, ამ
გვარად ქმარი და ცოლი ერთნაირად
აღუჭრებილი იყენენ სისხლის უფლე-
ბით.
თუმცა ჰქვამს დაბნელებით პი-
როვნულს და ქონებრივს უფლებებზე
მეტად ცოტას ამბობს, მაგრამ, მინც
შესაძლოა ამ უფლების განმარტება.
მართის მხრით, დედ-მამა ისე მალა
სდგანან, რომ მათის მოკლედისათვის
ჰქვამს დაბნელებით არ იცის რა ნაირი სა-
ჯელი შინაიკოს შვილს (, რაც უარე-
სია ყველას დამართება და ყოფა პი-
რიანი“... მუხ. 26), მაგრამ, მეო-
რეს მხრივ, შვილი როდი არის მამის
საკუთრება, ყოველს უფლებას მოკ-
ლებული არსება, უნდა პირი, რო-
გორც რომში (patria potestas); შვილს
ნება აქვს (, თუ მამა დაუბრუნდეს და
სამსახური ბატონისა არ შეეძლოს“...
მუხ. 26) მამას მამული ჩამართვას,

* იხილეთ „დროება“ № 2

³²) გეოგრაფიული აღწერა საქართველო-
ისა, გვ. 24.

³³) Курсъ гражданскаго права, К.
Подъносцева, ч. 2, 1871 г. стр. 6-7



შინაური მონიკა

— წყალ-კუთხევეს დიდ-ძალი ხლ-
ნი დაესწრო და ამ დღეს თითქოს გა-
მართლდა ქართველთა თქმულბა:
„როდესაც გვარს წყალში ჩასვენ-
ებენ, ყინვა მოტყდება“. მართლ-
დაც დიდის ყინვების შემდეგ, წყემ
გამოიხედა და თითქოს დათბა.

— წარსულს კვირას „პავკაზს“
ძველს რედაქტორს თავის თანამო-
ღეწეთა და თანა-მშრომელთათვის სა-
დილი გაუმართავს, სულ ცამეტ კა-
ცი დასწრება.

— ბუმინ დაიწყო გარჩევა ბატ.
შორანოვის საქმისა, რომელსაც რამ-
დენსამე კანონით აღკრძალულს საქ-
ციელში ამტყუნებენ. ამ საქმის გარჩე-
ვის ანგარიში ჩვენს გაზეთში იქნება
დაბეჭდილი.

— ამ უკანასკნელ დროს გარდაი-
ცვალა ობილისისაგან კარგად ცნო-
ბილი არქეოლოგი გრაფი ა. ს. შე-
როვი, რომელიც იყო თავს-მჯდომა-
რედ მოსკოვის საარხეოლოგო საზო-
გადოებისა. მანსვენებული ითვლებო-
და ერთს გამოჩენილ მეცნიერთაგა-
ნად და პირველი გამმართველი და
მოთადარი იყო საარქეოლოგო კრე-
ბებისა. მრთი ამ კრებათაგანი, სახელ-
დობრ მცხუთე, იმისივე აზრით გაი-
მართა ჩვენს ობილისშიაც და არა
მცირედს სარგებლობა მოუტანა ალ-

გვარის შორის, არამედ ვალდებულად
რაცხდა მას, რადგანაც სარგებლობას
ჰპოვებდა მასში, — ბეთთალმნად რაც
პარტახი მამული (პარტახი — ВЫМОРЧ-
НОЕ ИМѢНІЕ) დაჩეს რომე მემამულე
ალარ მიჩნდეს თუ მისის გვარისა კაცი
გამოჩნდენ ერთგვარნი... მათ ებოდოს
ასრე რომე საჯარო, სალაშქრო და სა-
ბეგარო არ დააკლდეს ქვეყანასა... —
(მუხ. კვ.) თუმცა აქ ლაპარაკია მა-
მულზე, მაგრამ მარტო მამული რო-
დი იყო შემაერთებელი ძალა ოჯახისა
და გვარის შორის; არა, ეს ძალა
უფრო ფართო და ვრცელია. — ქო-
ნებრივეს კავშირს თან მოსდევდა ხე-
ობრივი და საზოგადო იურიდიული
კავშირი, ასე, რომ თვითველი პირი
ერთსა და იმავე დროს ოჯახის წევ-
რიც იყო და გვარისაცა. მს კავშირი,
რომელიც აქამომდე დარჩა მთიელებ-
ში, აღრე მოისპო ვაქე მართლში და
მხატანგი თავის სამართალში უარ-
ჰყოფს მას... „თუ ცალკე გავიდა
(უშვილო კაცი) და არავისთან დადგა
და ისრე უშვილოდ ამოვარდა, მი-
სი მამული ხელმწიფის არის, ვისაც
უნდა უბოდებს... (მუხ. 113). რაკი
კერძო პირი ერთხელ ოჯახიდან გა-
ვიდოდა და საკუთარს კერას გაიჩენ-
და, იურიდიულ კავშირსაც ჰკარგავდა
უწინდელ ოჯახის წევრებთან (ჩვენ
აქ სახეში არა გვაქვს სულიერი დამო-
კიდებულება, „ნათესაობა“, რომე-
ლიც ეკლესიურს უფლებას შეეხება).
მს გარემოება ცხადად გვიჩვენებს,
რომ ქართლში, როგორც მხატანგის

გილობრივს სამეცნიერო ძიებასა და
გამოკვლევას.

— ჩვენ შევიტყუეთ, რომ დამსახუ-
რებულს პროფესორს ჩუბინოვს გა-
დაუწყვეტია ამ მოკლე ხანში თავის
ერცელის ლექსიკონის დაბეჭდა. მს
ლექსიკონი ქართულის სიტყვების გან-
მარტებას წარმოადგენს და შეიცავს
დიდს მასალას ჩვენის სიტყვიერებისა
და მწერლობისას. სიერცე ამ ლექსი-
კონისა და ის გარემოება, რომ იგი
არ დათანხმდა გამოეტოვებინა ზოგი-
ერთა განმარტებანი, შეიქმნა მიზეზი
იმისი, რომ სამეცნიერო აკადემიამ
არ დაბეჭდა ეს აკადემიური შრომა.
დღეს, როგორც შევიტყუეთ ბეჭდვა ამ
ფრიად ვრცელს ხელნაწერისა პრო-
ფესორს იმიტომ უფრო გაუბედნა,
რომ ერთს ფრიად დიდ მოყვარეს
ქართულის სიტყვიერებისა და მწერლო-
ბისას თვით უკისრია სრულიად ამ
გამოცემის სილღვა დაბეჭდვის შემდეგ.

— მრთი მცირე შენიშვნაა დაბეჭ-
დილი გაზ. „ძავკაზში“ შუთაისში სა-
სულიერო სემინარიის გამართვის თა-
ლზე. მს შენიშვნა იმ გვარად არის
დაწერილი, რომ ვერ მიხვედრილა
კაცი, რა სწავლიან სთქვას გაზეთმა
ამ გვარი უმართებულო ლაპარაკით.
პი, თვით შენიშვნა, რომელიც მოგე-
ყავს აქ სიტყვა სიტყვით:

„ჩვენ ვიცით, რომ ვრცელი ძა-
ვსია ეკლესიურად განყოფილია რამ-
დენსამე ვარჯიად და აქვს მხოლოდ

დროს, ისე აღრეც კერძო ოჯახს თა-
ვისი განცალკევებული საკუთრებით
კავშირი აღარა ჰქონდა გვართან, გვარ-
მა აღვილი დაუთმო პირს, საზოგა-
დომ კერძობას, ასე ესთქვათ, იურ-
იდიულმა „მე“ — მ სძლია იური-
დიული „ჩვენ“. როგორც სჩანს ძვე-
ლი სიგელებიდან, პოლიტიკურმა მო-
საზრებამაც ხელი შეუწყო ამ მოვლე-
ნას და, სხვათა-შორის, ეს მოსაზრე-
ბაც იყო ერთი იმ მიზეზთაგანი, რო-
მელთაც შეარყიეს გვარი, საგვარეუ-
ლო შინაური წეს-წყობილება და წინ
წამოაყენეს კერძო ოჯახი თავისი კერძო
საკუთრებით. როგორც სჩანს საქართვე-
ლოს ძველის ისტორიიდან ³⁵⁾, შარ-
ნავაზ მეფემ სახელმწიფოს დაარსებასთან
ერთად, პოლიტიკური მოსაზრების გა-
მო, დააარსა ვერეთევი მიწის საგვარეულო
მფლობელობა. ამ გვარ მიწის მფლო-
ბელობას უჩვენებს თვით სტრაბონი ³⁶⁾
და ჩვენ, ვგონებთ, არ უნდა ვეჭვენ-
ულობდეთ, რომ წინად კერძო სა-
კუთრების მაგიერად საზოგადო საგ-
ვარეულო საკუთრება იყო. როგორ
და რა მიზეზების გამო დაირღვა გვა-
რი და მისი აღვილი დაიკრია კერძო
ოჯახმა თავისი კერძო საკუთრებით
ეს ჩვენს საგანს არ ეკუთვნის. აქ
მხოლოდ იმას დავსძენთ, რომ თუ
წინად საგვარეულო საკუთრება იყო

³⁵⁾ История Грузии, 1 тетр. С. Ба-
ратова, стр. 24—26.

³⁶⁾ Известия... стр. 68; იხილეთ ეგ-
რეთევი „საქართველო“ გვ. 85.

რორი სასულიერო სემინარიის — მი-
ლისსა და სტაფროპოლისში. მიტყუებო-
სა და ბურისი ევარქიას არა აქვთ
თავიანთი სემინარიები. შუწინ განათ-
ლების მისაღებად მრავლად ჰქზავნი-
დენ ყმაწვილებს სხვა-და-სხვა სემინა-
რიებში — ასტრახანისაში, სარატოვი-
საში და სხვ., მაგრამ დროს განმავ-
ლობის შემდეგ, ეს ჩვეულება გადა-
ვარდა, რადგან სტაფროპოლში გაიხ-
სნა სემინარია და საშუალო სასულიერ-
ო სასწავლებელთა რიცხვი სრული-
ად სამყოფი შეიქმნა პავკასისათვის.
ამის მიუხედავად იმერეთისა და სა-
მეგრელოს სამღვდელთაგან ამ რამ-
დენიმე წლის წინად დაიწყო ზრუნვა
სასულიერო სემინარიის გახსნაზე შუ-
თაისში; ბევრი დაიწყო ამ საგნის
სასარგებლოდაც და საწინააღმდეგო-
დაც, ბევრ-გვარი პროექტები შესდგა,
საშუალება იძებნებოდა განზრახულის
საშუალო სასწავლებლის შესაწახავად,
სამღვდელთაგან მხად იყო შეწირუ-
ლებისათვის, შუამდგომლობას სწევ-
დენ იმერეთის სამღვდელთაგან სურ-
ვილის შესასრულებლად — საკუთარის
სემინარიის დაარსებისათვის. მაგრამ
დღეს, როგორც გვატყობინებენ,
სემინარიას გახსნას საქმე ქუთაისში
უმაღლეს მთავრობას უზრთო გადაუწყვე-
ტა (ეს სიტყვები ხაზ-გასმულია თვით
გაზეთისაგან); ასეც უნდა მომხდარი-
ყოფო, განაგრძობს გაზეთი, — თუ
მივიღებთ მხედველობაში რომ საშუ-
ალო სასწავლებლის გახსნისათვის
საჭიროა საკმაო ხარჯი, როგორც

ქვა-კუთხედი მიწის მფლობელობისა,
შემდეგში კერძო მიწის საკუთრებამ
დაიკრია მისი აღვილი და, სხვათა-
შორის, ამას ამტკიცებს ძველი
ქართული პარტახი თვისის განსა-
კუთრებითის ხასიათით. ძველმა სა-
ქართველოს მეფეებმა პარტახი რე-
გალიად (სახელმწიფო საკუთრებად)
აღვიარეს (როგორც ეს იყო მეროპა-
შიც საშუალო საუკუნოების დროს),
გაზნადეს იგი პოლიტიკური ძალის სა-
შუალებად, სახსრად. მეფე, ვისაც
ჰსურდა, იმას უბოდებდა პარტახს „სამ-
სახურისათვის“; და რადგანაც პარ-
ტახს ერთხელ ამ გვარი დანიშნულება
მიეცა, იგი შეიქმნა საკმაო ძა-
ლად მეფის ხელში და სასარგებლოც
იყო მისი ძლიერების განსაღიდებ-
ლად; ამისათვის საგვარეულო მიწის
მფლობელობის დარღვევას, ასე თუ
ისე, ენმარებოდა ხელმწიფებრივი უფ-
ლების გაძლიერება. რასაკვირველია,
აქ სხვა მიზეზებიც მოქმედობდენ, სხვა-
თა შორის საზოგადო კანონი საკუთ-
რების განთვითოფულებისა, მაგრამ პო-
ლიტიკურს მიზეზსაც აღვილი ჰქონ-
და. — ამ კერძო კითხვიდან ისევე სა-
ზოგადო საგანზე უნდა გადავიდეთ.

არც აღბუღას სამართლის ოჯახი
არის სრულიად დესპოტიური. მს არის
შუათანა ტიპი დესპოტიურისა და თა-
ვისუფალის ოჯახის შორის. აქაც,
როგორც ჰეგლის დების ოჯახში, თვი-
თეულს წევრს თავისი უფლება აქვს,
თუმცა მაინც მცირედი. რასში იხა-
ტება ეს უფლება? — „თუ ცალკე დას-

ბანკმა გაჭირვებულ მემამულეთ და რა
გზით? თითქმის ერთად ერთი გზა, რო-
გორცა სთქვა ავტორმა ამ საგანზედ და-
ბეჭდილის წერილისამ რუსული ჟურ-
ნლის „Русская Мысль“-ის უკა-
ნასკნელ წიგნში, იქნება ის რომ სა-
ხელმწიფომ ასესხოს ფული მემამუ-
ლეთ უფრო იაფად, ვიდრე თვითონ
სესხულობს, ე. ი. სარგებელი ნაკ-
ლები გამოართვას, ვიდრე თვითონ
აძლევს. მაშინ ეს განსხვავება სახელმ-
წიფოს დაწევა კისერზედ, ე. ი. იმ
წოდებას სახელმწიფოსას, რომელიც
უიმისოდაც საკმაო ხარჯს იხდის და
იმომატება აღარ ეჭირვება. მაშასადამე,
თუ უნდა რომ სამართლიანობა და-
ცულ იქმნას, სახელმწიფომ, ესე იგი
სახელმწიფო საადგილ-მამულო ბანკმა
იმდენი პროცენტი მაინც უნდა გა-
მართავს თავის მოვალეთ, რამდენ-
საც თითონ სახელმწიფო აძლევს.
შუკანასკნელმა სახელმწიფო სესხებმა
უკი დაამტკიცეს, რომ თვით სახელმ-
წიფო, რომელიც მთელს ქონებას
სახელმწიფოსას თითქმის გირაოდ აძ-
ლევს მასესხებელთ, ექვს პროცენტ-
ზე ნაკლებ ვერ შოვობს. ამას რომ
მიუღმატოთ ის პროცენტი, რომელიც
თავნის გადასახდელად არის საჭირო
და აგრეთვე ისიც, რასაც მოვალენი
გაღიხიან ამ ბანკის გამგეობის შესა-
ნახავად, მაშინ აღარ იქნება განსხვავე-
ბა კერძო საადგილ-მამულო ბანკები-
საგან აღებულ გადასახდასა და სა-
ხელმწიფო ბანკებისაგან აღებულში...

მხოლოდ ნასყიდი კი არა, და თავისი
საკუთარი მეურნეობა გაიჩინოს...
თუმცა ამ შემთხვევაშიც მამის „ნე-
ბის მყოფლობა“ იყო საჭირო. ზე-
მოდ-ხსენებულიდამ სჩანს, რომ ჰეგლის
დება თუმცა ოჯახის მამას დღეს ძა-
ლას აძლევდა, მაგრამ ეს ძალა ისეთი
არ იყო, რომ სრულებით დაეთრგუ-
ნა ოჯახის წევრების პიროვნება. ოჯა-
ხის მამას გვერდით უდგენ ეს წევრნი
და თუმცა ემორჩილებოდენ მას, მაგრამ
იმავე დროს არც სრულს თავის-უფლე-
ბას იყენენ მოკლებულნი. მს მორჩილება
უფრო პიროვნულს ურთიერთობაში
იხატებოდა, ვიდრე ქონებრივი; ქო-
ნებრივის მხრით ოჯახის წევრი შედა-
რებით მაღლა იდგა. მკითხველმა არ
უნდა დაივიწყოს ისიც, რომ ჰეგლის
დებაში ოჯახს გვერდით უდგია გვარის
ჩამომავლობა (род), რომელსაც
დადი გავლენა აქვს მასზედ. კერძო
ოჯახის წევრნი არა სწყვეტდენ კავ-
შირს გვართან, ეს უკანასკნელი ხში-
რად მათი მფარველი იყო. მს კავში-
რი ოჯახისა და გვარის შორის ცხლაც
კი მტკიცედ არსებობს მთაში და სწო-
რედ, სხვათა-შორის, ეს გარემოება
იყო მიზეზი, რომ, როგორც სხვაგან,
მაგ. რუსეთში³⁴⁾, ისე იმ თემთა შო-
რის, რომელთაც ჰეგლის დება შეეხე-
ბოდა, ქალი არ იყო სრულიად და-
ჩაგრული. თვით ჰეგლის დება არა თუ
აღვიარებდა ამ კავშირს ოჯახისა და

³⁴⁾ Юридическія отношенія между
супругами, Ал. Савельева, 1881 г.
стр. 19, 25.

ერთხანობით, ისე მუდმივ, სიძრვე ინსენებოდეს საშუალო სასწავლებელი, რომლის საჭიროება არა მარტო იმ ალაგას დიდ ეჭვს ქვეშ იმყოფება (?) სამღვდლოების ვალია იზრუნოს იმ სასწავლებელთა ყოველ-მხრივ განკარგებაზე, რომელთა სამწიგნობრო მდგომარეობაც ისე ცხადად იყო აწერილი უწინდესის სინოდის ობერ-პროკურორის უკანასკნელს ანგარიშში, რომლიდანაც ამოკრეფილნი ცნობანი თავის დროზედ იყო „ძველში“ დაბეჭდილი. არ შეიძლება ისიც არ მივიღოთ აქ სახეში, რომ რკინის გზა შესამჩნევად აადვილებს იმერეთის სამღვდლოების შეიღობა გზავენს თბილისის სემინარიის მიმსაღმად. ეს სემინარია ისეთი ვრცელია, (?) რომ შეუძლიან შეგორდების საკმაო რიცხვი დაიტოს, ოღონდ შესვლის მსურველნი მომხადებულნი იყვნენ რიგინად სწავლის განსაგრძობად. შემდეგ უნდა მოველოდეთ სასულიერო საშუალო სასწავლებლის გამართვას ბათუმში, ახალ პოთნზე აფხაზეთში, მაგრამ, როგორც გვგონია, არ უნდა მოველოდეთ მთლიანად ე. ი. იქ, სადა იმყოფება საგარეო უფროსი.“

ამ შეფენებას „ძველში“ პუბლიცისტიკისა განმარტება აღარ ეჭირება. შოჩალ ახლო რდაქტორი ვაზ. „ძველში“ პირველადვე, სულ მეთხუთმე წინააღმდეგობა და ასეთი, შემადრწუნებელი მოძღვრება, ასეთი გრძობანი...

ნეულდეს... გაეყაროს (ქმარი), შეფიცოს ნაშენითა რამე სიძულულთა არ გაყროდეს და ნახევარი სისხლი დაუტყოს... (მუხ. რმა) მართალია, ცოლის წაგვრა („მისის ნეობით და წაღილითა... მუხ. მზ., ... ძალად წაგვაროს დიაცისა უმეტრად და უნდომლად... მუხ. მპ.) ქმარს უფლებას აძლევდა სისხლი მოეთხოვა და მანაშავესაგან თავის სასარგებლოდ, მაგრამ აქედამ ის დასკვნა არ გამოდის, ვითომ ცოლი ქმრის სრული საკუთრება იყო, როგორც რამე ქონება; არა, ეს სისხლის დაურევება სასჯელი იყო და ამის მეტი მნიშვნელობა მას არა ჰქონია-რა. სისხლის ზაოდენობა, დანაშაულობის თვისების გარდა, პიროვნების ღირსებაზე იყო დამყარებული (მაგ., „თუ აზნაურმან აგინოს (ეპისკოპოსსა) დიდითა შეხვეწითა ოცი ათასი თეთრი დაუტყოს“ მუხ. რბ.) და თუ ყოველივე დანაშაულობა ცოლის შესახებ თხოულობდა სისხლის დაურევებას ორ წილ და ზოგიერთა შემთხვევაში მეტსაც, ეს იმიტომ, რომ თვით ცოლი ოჯახში არ იყო მოკლებული მნიშვნელობას, ღირსებას. ეს ღირსება იქამდის მიდიოდა, რომ ქმარს არ შეეძლო დაუსჯელად ცოლის დატოვება და თვით დატოვებისათვის, როგორც მოვასწინებთ, საჭირო იყო შესაწინარებელი საბუთი, სხვაგან, მაგ., რუსეთში ამას ვგრა ვხედავთ. იქ, იაროსლავის სამოსამართლო წესდების ძალით, თუ ბოიარინი ცოლს

სათავად-აზნაურს სკოლის სასარგებლოდ გამართული ბალი

წყალ-კურთხევა დღეს სათავად-აზნაურს სკოლის სასარგებლოდ იყო გამართული ბალი; ამ სკოლის გამგეობა, ყოველ წელიწადს მართავს ხოლმე ამ გვარს დროს გასატარებელს საღამოს და მათდა საქებრად უნდა ითქვას, რომ ყოველთვის ამ ბალს ბლომად დაესწრობა ხოლმე ხალხი.

უკანასკნელის ბალისათვისაც საზოგადოება ჩვეულებრივს სამზადისში იყო და მოუთმენლად მოელოდა ჩვეულებრივს დროს გატარებას, როდესაც ერთხელ მოვიდა სამწიგნობრო ამაღელი მათი უგანათლებულესობის თავადის ილია ალექსანდრესძე ბაგრატიონ-მრუხინსკის, ქართველთა უკანასკნელის მეფის შეილის-შვილის გარდაცვალებისა.

ნათესაობის გარდა, რომელსაც ჩვეულება გლოვის ვალსა სდებდა, განსვენებულს მრავალნი ნაცნობნი და თანამგრძობელნი ჰყვანდნენ თუფრო, რომ თავადი ბაგრატიონი იყო ყმაწვილი კაცი, კარგად აღზრდილი და, რაც უფრო მეტად დასაფასებელია კაცის ცხოვრებაში, — კეთილი გული ჰქონდა.

თქმა არ უნდა, რომ თავადის გადაცვალებამ ყველანი ისე შეაწუხა, რომ ბალის გადადებამდეც კი დაიწყეს ლაპარაკი და უეჭველად კიდევ გადასდებდნენ, თუ ბალი საქველ-მოქმედო აზრით არა ყოფილიყო და მო-

მისცემდა ხუთს ოქროს გრიფენს და ამდენსავე ეპისკოპოსს და დაბალი წოდების კაცი თორმეტს გრიფენს, შეეძლოთ მისთვის თავი დაენებინათ^{*)}. აღბულის სამართალში ცოლის მცირედიც არის მნიშვნელობა ოჯახში მტკიცდებოდა მითაც, რომ მისი შეურაცხება სიტყვითაც კი დამნაშავეს საკმაო ჯარიმას აკისრებდა, რადგანაც „თუ დიაცი აგინოს, თორმეტი გლეხი დაუტყოს“ (მუხ. რლა)! თუმცა პიროვნულად ცოლი დაბლა იდგა და ქმარს ემორჩილებოდა, მაგრამ ქონებით, თავისის საკუთრებით იგი არ იყო დამოკიდებული ქმრისაგან. აღბულის სამართალში, როგორც საზოგადოდ ძველად უფლებამ, იცოდა ქონებრივი დამოუკიდებლობა ცოლ-ქმართა შორის და ეს იყო მიზეზი, რომ ქმარს არ შეეძლო სრული დამონაგება ცოლისა. აღბულის სამართალი ქონების შესახებ დიაცს თავისუფალ წევრად აღვიარებს, — „დიაცსა თუ ღმერთი შერისხდეს, დაქვრივდეს და შეილი არ ედგას, მისის ზითვითა გაყვეს და უკლებლად და თუ დიაცი მოკვდეს, მისსა სამშობლოსა მართებს აგრევე დაუკლებლად“ (მუხ. პბ.) „თუ შეილოსანი დაქვრივდეს, აბჯარი შეილგებისა, დიაცისა სასაქონლო და სამამულე“ (იქვე); მაგრამ, ზითვის გარდა, სხვა საოჯახო ქონებზედაც ხელი მიუწვდებოდა დიაცს: „თუ დედა-კაცს ქმარი მოუკვდეს და საქონელი მან ქვრივმან მონასტერს შესწიროს ნუ ეცილებიან“ (მუხ. როვ).

წვეულთ შორის, გარდა ქართველთა, სხვა გვარტომობის ხალხიც არა ყოფილიყო.

ბალი გაიმართა და, დიასახლისად არჩეული კნენა ბარბარე ბარათაშვილისა, ჩვეულებრივად ბეჯითად შეუდგა თავის საქმეს. მისმა მასწინძობამ არამც თუ დიდძალი ხალხი მოიზიდა, არამედ საღამო გაამშვენებრა, გააცოცხლა და გაამხარულა. მამოცდილს მოთავდარიგეს ისიც არ დაეწვებოდა, რომ საუკეთესო მოლექურენი დაებარა ქახეთიდგან. რაღა თქმა უნდა, რომ ლექური ჩინებული უნდა ყოფილიყო, რადგანაც მთელს საქართველოში ლექურით განთქმული ქახეთია. ქახეთში განსაკუთრებით შარალაშვილთა გვარი და მეტადრე მისი წარმომადგენელი რეზო შარალაშვილი, რომელმაც საღამო დაამშვენა ლაზათით საქსე ლექურიო.

რეზო შარალაშვილის გარდა ითამშეს კიდევ რამდენიმე მოლექურემ. ამ ნაციონალურმა თამაშობამ ზოგიერთები იქამდისინ გაიტაცა, რომ დადიწყდათ თავიანთ ბოლო-მოკვეცილი ტანისამოსი და ჭრაცებით გამოვიდნენ საცეცველად. მართალია ეს ტანისამოსი სრულიად არ შეესაბამოდა ლექურს, რომელიც თავისებურია და ყველაფერში თავისებურებას ითხოვს, — მაგრამ ქართულმა გულმა ველარ მოითმინა.

ბოლოს არ შეგვიძლიან, ბალის გამართავთა და მათ შორის განსაკუთ-

ლი მან ქვრივმან მონასტერს შესწიროს ნუ ეცილებიან“ (მუხ. როვ). რაც შეეხება შეილებს, აღბულის სამართალი იმათ პიროვნულს თავისუფლებას შესამჩნევად ავიწროებს. რადგანაც მამა იყო სრული და დამოუკიდებელი პატრონი ოჯახისა, ამისათვის, შეილის გაძევება სახლიდამ, მისი გამორიცხვა ოჯახის წევრთა რიცხვიდამ მამის ნებაზედ იყო დამოკიდებული: „თუ თავისი შეილი მამამან მისისა შეცოდებისათვის კიდევ გააძოს ხელეწიფების და ცილებასა არავინ არის მართლა“... თუმცა, მეორეს მხრით, შეილს კანონი ცოტათი იფარავდა, რადგანაც არა ვაძოს მამამან ღვარძლ-ძვივითა უბრალო შეილი, ამას არცა მამა ემართლებს, ნურცა ვინ სხვა უზამს“... (მუხ. ნთ). თუ რა შორს მიდიოდა შეილის ოჯახური არა-რაობა, ხიანს იქიდამ, რომ გაყრის დროს შეილს მამის ქონებიდგან არა ეძლეოდა-რა („თუ მამა-შვილინი გაიყარნენ შეილი მამულის გაყოფასა არა ემართლებს, ამისათვის რომე, რა მამა მოკვდების, მამულსა შეილსა არას ემართლებს, მან სხვა მოიგოს მამის სიკვდილამდის“ მუხ. რნზ). მართალია, შეილი მემკიდრე იყო მამისა, მაგრამ რადგანაც აღბულის სამართალში ანდერძს მეტად ფართო ალაგი ეჭირა და ანდერძით შეიძლებოდა ყველა გვარი ქონების გადაცემა სხვა პირზედ, ამისათვის ადვილად მოსალოდნელი იყო, რომ შეილი საოჯახო ქონებიდამ ცა-

რებით კნენა ბაბაღე ბარათაშვილისას მადლობა არ ეუთხრათ ამ მოღვაწეობისათვის და მეცადინეობისათვის, რომლის წალობითაც ჩვენს მოწაფეთა სასარგებლოდ ას თუმანზედაც მომეტებული შემოსავალი აღმოაჩინა.

აგრეთვე გულითად მადლობას ეუძღვნით იმ სხვა გვარ-ტომობის ხალხსაც, რომელიც ჩვენის განათლების საქმეს თანამგრძობით მოეკიდა და ხსენებულს ბალს დაესწრო.

ერთი დამსწრეთაგანი.

სველგრაძები

(„ხრდილოეთის საგენტოსი“)

იანვრის 5-ს
პეტროპოლისი. ხმებისა, რომ ამ დღეებში დასწავლენ 27 მილ. მანათის კრედიტის ბილეთებსაო.

ქრინდიანდიის სეიმში წარდგინება პროექტი ებრაელების უფლებათა შესახებ ქრინდიანდიაში. წინადადებაა, მიეცესთ ებრაელებს უფლება პასპორტებით ბინადრობისა, მრეწველობისა, განსაკუთრებულის ნება-რთვით უძრავი ქონების მფლობელობისა, მაგრამ სოფელად-კი არა; ებრაელი, რომელიც ქრინდიანდიაში სცხოვრებს ათი წლის განმავლობაში და არა ვითარს ცუდს საქმეში შენიშნული არ არის, მიიღებს სამუდამო პასპორტს მაგრამ თუ საკმაო მიზე-

ლიერი დარჩენილიყო, — „ანდერძი რომელმან კაცმან თქვას მისსა სიკვდილსა შემდგომად-ღა იქნების მტკიცე და დასტურებული“ (მუხ. ნს).

ძველის ქართულის ოჯახის ერთს საყურადღებო მხარეს შეადგენდა ის, რომ, როგორც საზოგადო ცხოვრებაში, ისრე ოჯახში განხორციელებული იყო უფროს-უმცროსობა, წევრთა შორის დიდ-პატარაობა. მახტანგმა თავის სამართალში იერარქიულად ასწერა ეს მოვლენა და თვითუფლს წვერს, გაყრის დროს, თავისი საკუთარი ხვედრი დაუნიშნა. მართალია, აღბულის სამართალში ან იცის ისე დაწვლილებით იერარქიული დამოკიდებულება ოჯახის წევრთა შორის, როგორც მახტანგის სამართალში, მაგრამ იქაც უხუცესს შედარებით მეტი უფლება აქვს, ვიდრე სხვებს. „თუ დიდებულნი გაიყარნენ ერთი უკეთესი სოფელი საუხუცესოდ, სხვა შუა გაიყონ“ (მუხ. რნე), „თუ გლეხნი გაიყარნენ უხუცესსა ძმასა ან თავნი სახლი ან ერთი ვენახი ანუ უფროსნი ქურნი საუხუცესოდ, სხვა შუა გაიყონ“ (მუხ. რნე). უფროს-უმცროსობა შეადგენდა საოჯახო წესს და ამ წესს მით უფრო საჭიროდ რაცხდნენ, რომ ძველი ოჯახი მრავალ-წევროვანი იყო და მამა-სამამე თხოულობდა იერარქიულ დამოკიდებულებას, მორჩილებას ერთისა მეორისადმი.

ნ. ხაზანაშვილი.

*) A. Савельевъ, стр. 9.



ზები იქნება, მაინც შეიძლება მისი განდევნა.

ბათუმი. გუშინ გადაიკვალა აქ უგანათლებელესი თავადი ილია გრუზინსკი, შვილის შვილი უბანასენელი მეფის ძისა.

პარიზი. ცნობილი მწერალი ედმონ აბუ მიიკვალა.

ინგლისის პროექტის წინააღმდეგ სახელმწიფოთაგან წარმოდგენილი წინადადება ეგვიპტის წინანსთა მოწყობისათვის თავდება იმით, რომ ევროპის სახელმწიფოთა კონტროლს ქვეშ გამოკვლეულ იქნება ეგვიპტის გადასახდელი წინანსიური ძალა, რომ მითი განსაზღვრულ იქმნას მოვალეობა უფლება.

იანვრის 6.

პეტროპოლი. გუბერნატორი ურასის ოლქისა და ნაკაზნი ატამანი ხაზანთ ჯარისა, თავადი გალიციანი დანიშნულ იქმნა სენატორად, ხოლო მონსენებულ თანამდებობათაგან დათხოვნილ.

„ნოვოე ვრემია“-ს გაუგონია, რომ პეტერბურგში დასასრებელი სახელმწიფო საადგილ-მამულო ბანკი, გრძელ ვადიან სესხთა გარდა, გასცემს მოკლე ვადიანთაც მიწად-მოკმედათა თამასუქებით საპეტრეო საჭიროებათათვის ხელმოსანაცვლებლად. იგივე გაზეთი ღაპარაკობს მოსალოდნელ დღესასწაულზე სატახტო ქალაქებსა და პროვინციებში სათავად-აზნაურთა გრამოტის ასის წლის შესრულების გამო და ვატიკანის, რომ განზრახვა ბევრ-ძველ აზნაურთა ვართ თავადთა და გრაფების ხარისხი მიანიჭონ.

იანვრის 7.

ვარშავის სამოსწავლო ოლქის თანამემწე ვარანცოვი-ველიამინოვი დაინიშნა ხარკოვის სამოსწავლო ოლქის მზრუნველად.

გაზეთების სიტყვით, დამატებითი საპროცენტო გადასახადის პროექტი უკვლავ სავაჭრო და სამრეწველო დაწესებულებათა და პროექტი ბაჟის მომატებისა სატამოქნო ტარიფის ზოგიერთა საგნების შესახებ მოწონებულ იქმნა სახელმწიფო რჩევისაგან.

გელსინბერგისი. ჩინლიანდიის სემის სარაინდო და საბიურგერო პალატებში საკამათო ბასი შვედურს ენაზე იქმნება, ხოლო სამდვდელოებისა და საგლეხო პალატებში — ჩინურს ენაზე.

ცნობანი

მაზანდა

ხორავისა, რომელიც იყიდება თბილისის ბაზრებში, ღუქებში და ხელ-

დახელ 1 იანვრიდან 1 თებერვლამდე 1885 წ.

გამომცემისა ზუბი რუ-	სუთის ფუქილისა—	—1 გიბ.	5 კ.
საქურის ფუქილისა: პირ-	გელის ხარისხისა—	—1 გ.	2 1/2 კ.
მეორისა—	—	—1 გ.	2 კ.
იმავე ფუქილ. თორნიეში გამომცემისა:			
პირველი ხარისხისა—	—1 გ.	4 1/2 კ.	
მეორისა—	—	—1 გ.	3 კ.
მესამისა—	—	—1 გ.	2 1/2 კ.
ჟურნალის-მამი ზუბი:			
პირველი ხარისხისა. ღაჯაში	—1 გ.	4 1/2 კ.	
მეორის ხარისხისა. ღაჯაში	—1 გ.	3 1/2 კ.	
მესამისა—	—	—1 გ.	3 კ.
მეორის ხარისხისა:			
პირველის ხარისხისა—	—1 გ.	8 კ.	
მეორისა—	—	—1 გ.	7 კ.
სუქი	—1 გ.	15 კ.	
ცხვის ხარისხისა—	—1 გ.	8 კ.	
ღორის ხარისხისა:			
პირველის ხარისხისა—	—1 გ.	8 კ.	
მეორისა—	—	—1 გ.	7 კ.

განცხადებანი

საქართველო-იმერეთის უწმინდესი და უმართებულესი კანტარის თანადარბობით მომავლის 1885 წლის იანვრის 21 დანიშნულია ვაჭრობა, რომელიც სამის დღის უკან განმორდება და რომელზედაც უნდა იქმნეს გაცემული იჯარით სამი საძოვარი ადგილი იოანე ნათლის მცემლის მონასტრისა შარაიზე. ეს საძოვრები სივრცით 3475 დს. 1100 საფ. შეიცვენ, და გაიცემიან ერთად ანუ ცალ-ცალკე, როგორც მოიჯარაღრენი მოსურვე ბენ. შისაც ჰსურს აიღოს ეს ადგილები იჯარით, შეუძლიან მომძიანდეს კანტარაში, ანუ გამოგზავნოს დანიშნულს ღროზე დღის 10 საათზე დაბეჭდილი განცხადება ჯგროვანი გირაოთი, რომელიც შეიძლება იყვეს ან ნაღდი ფული ან საკრედიტო დაწესებულებათა ბილეთები, თავიანთის წოდებითი ქალაღითურთ. პირობის შეტეობა შეიძლება ყოველ დღე დღის 8 საათიდან 1 საათამდის ნაშუადღევსა, გარდა კვარისა და უქმი დღეებისა.

წვერი სინოდალური კანტარისა არხიმანდრიტი მკარა.

(3—2) სეკრეტარი ჩიჭაძე.

მართულ სკოლებში სახმარებელი რუსული ენის სახელ-მძღვანელო „პირველი ნაბიჯი“

(Первый Шаг)

შედგენილი აღნიშნულის-მიერ, დღე-იღვან სრულიად თავისუფლად და დაუბრკოლებლივ იქმნება მსურველთაგან ხმარებული, რადგან იგი „სახალხო განათლების სამინისტრომ პირველ-დაწყებით ქართულ სკოლებში სახმარებელ სახელ-მძღვანელოდ ღირსეულად სცნა.“

ზინც იყიდის არა ნაკლებ 10 ეგზემპლარისა, 10% ნაკლებ დაემოება და თუ იყიდინ არა ნაკლებ 50 ეგზე. 20% ნაკლებ დაემოებათ.

Центральная книжная торговля; Головинский проспект д. Мириманова. 3—2

ОБЪ ИЗДАНИ ВЪ 1885 ГОДУ ЖУРНАЛА „ЮРИДИЧЕСКОЕ ОБОЗРѢНІЕ“ (ГОДЪ ПЯТЫЙ)

Журналъ, какъ и прежде, будетъ выходить по четвергамъ, въ размѣрѣ отъ 1 до 2 печатныхъ листовъ, по слѣдующей программѣ:

I. Статьи по всѣмъ вопросамъ, вытекающимъ изъ теории права и судопроизводства.—II. Перечень, изложение и обсужденіе важнѣйшихъ распоряженій и узаконеній правительства.—III. Судебная хроника: а) отчеты о засѣданіяхъ въ судахъ, преимущественно Кавказскаго края, и б) особенно интересныя рѣшенія Кавказскихъ гражданскихъ судовъ по вопросамъ права и судопроизводства, вызваннымъ мѣстными особенностями края.—IV. Корреспонденціи юридическаго содержанія (Обзоръ юридической печати и библиографія).—V. Смѣсь (разныя извѣстія). Случаи изъ судебной жизни и практики.—VI. Тезисы и текстуральное изложение кассационныхъ рѣшеній: а) департаментовъ сената и б) Тифлисской судебной палаты.—VII. Извлечение изъ приказовъ о важнѣйшихъ назначеніяхъ по вѣдомству юстиціи.—IX. Судебный указатель. Резолюціи Тифлисской судебной палаты по дѣламъ апелляционнымъ и кассационнымъ.—X. Объявленія—казенныя и частныя.

Выполнивъ, по возможности, свои прошлогоднія общанія предъ читателями, редакция „Юрид. Обзор.“ постарается придать своему журналу въ будущемъ году еще большій интересъ, при содѣйствіи многихъ и нѣкоторыхъ новыхъ сотрудниковъ.

Кромѣ статей общаго юридическаго характера по вопросамъ гражданскаго и уголовнаго права, межевымъ, нотаріальнымъ, судебно военнымъ и пр., а также о внутренней жизни кавказскихъ судовъ и о вопросахъ дня, —въ 1885 г. будутъ помѣщены: грузинскіе законы царя Вахтанга, съ необходимыми предисловіемъ и примѣчаніями, и продолжены изслѣдованія законовъ: армянскихъ—по Мхитару Гому, еврейскихъ—по Маймониду, мусульманскихъ, собственно Кавказскихъ народностей ихъ адаты и пр.

У С Л О В Я П О Д П И С К И :

Редакція и администрація журнала (для приѣма подписки, объявленій и розничной продажи)—Тифлисъ, Сололакская ул., д. кн. Меликова.

при подпискѣ 3 р. и черезъ два мѣсяца еще 3 р.

Подписная цѣна на журналъ, съ доставкою и пересылкою: на годъ—10 р.; на 6 мѣс.—6 р.; на 3 мѣс.—3 р. 20 к.; на 1 мѣс.—1 р. 25 к.

Для гг. студентовъ плата 8 р., полугодовая—5 р.

Желающіе приобрести журналъ за прежніе года, уплачиваютъ: за 1881 г.—8 р. 20 к. и за всѣ послѣдующіе по 10 руб. за годовую экзemplарь.

Разсрочка въ платежѣ денегъ допускается—для годовыхъ подписчиковъ: при подпискѣ 4 р., въ мартѣ и апрѣлѣ по 3 р., и для полугодовыхъ:

При перемѣнѣ адреса вносятъ 40 к. За объявленія, казенныя и частныя—строка петита 10 коп., 1/2 страницы 3 р. 25 к., цѣлая стран. 6 руб. 50 коп.

При доставленіи въ редакцію „Юридическаго Обозрѣнія“ экзemplара юридическаго сочиненія, о немъ будетъ данъ отчетъ и сдѣлана публикація.

Подписчики „Юрид. Об.“ имѣютъ право на полученіе, черезъ редакцію, свѣдѣній о положеніи ихъ дѣлъ въ Тиф. судеб. учрежд.—въ текстѣ журнала безвозмездно, а письменныя и телеграфныя—по соглашенію съ ред. журнала.

(7—7).

Редакторъ-издатель А. С. ФРЕНКЕЛЬ.

ОТКРЫТА ПОДПИСКА

на 1885 годъ

на ежедневную литературно-политическую газету

„Н О В О Е О Б О З Р Ѣ Н І Е“

издаваемую въ Тифлисъ

(1 годъ изданія).

Программа газеты общаа всѣмъ литературно-политическимъ ежедневнымъ изданіямъ, съ возможно широкимъ развитіемъ мѣстнаго отдѣла.

Подписная цѣна съ доставкою и пересылкою въ Россіи: на годъ 10 руб., на полгода 6 руб., на 3 мѣсяца 3 руб. 50 коп., на одинъ мѣсяць 1 руб. 50 коп.

Подписка принимается: въ Тифлисъ въ конторѣ редакціи при Газетномъ Агентствѣ В. Шавердова, въ С.-Петербургѣ въ книжномъ магазинѣ „Новаго Времени“. Иногородные адресуютъ свои требованія въ Тифлисъ, въ контору редакціи „Новаго Обозрѣнія“, при газетномъ Агентствѣ В. Шавердова.

5—5

Редакторъ-издатель А. В. Степановъ.